პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 დეკემბერი, ხუთშაბათი, 1986 წ.
№ 241 (9402) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



საბჭოთა კავშირის ნაკრებში რჩეულთა შორის რჩეულებს იწვევენ. ნიჭიერი ქართველი [illegible] შეიყვანეს ქვეყნის [illegible] ჩემპიონატზე და მსოფლიოს თასის გათამაშებაში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება — ასეთი შედეგებით აღინიშნა 16 წლის სპორტსმენის პირველი ნაბიჯები დიდ სარბიელზე.

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სპორტსახკომის, რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს პრიზზე

## მომავალ შეხვედრამდე...



დამთავრდა საქართველოს პირველი პირველობა მინიფეხბურთში ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების უბნების გუნდებს შორის. შეჯიბრებამ, რომლის დასკვნითი ეტაპი თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ ახალი ტურნირის თაოსანი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სპორტსახკომი და რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო იყო.

ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ თბილისის „ვერა" და ბათუმის „ხიხანი". მატჩი თბილისელთა იერიშებით დაიწყო. მათ მცირე უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ვერელებმა საკმაოდ სწრაფად შეძლეს ამ უპირატესობის რეალიზება: მე-5 წუთზე უცარი შეტევა განახორციელეს და ბათუმელთა მოთამაშემ ლევან უსტიანმა, რომელიც ცდილობდა სახიფათო გადაცემის ჩაჭრას, საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. მეორე ტაიმის პირველსავე წუთზე ვერელებმა (დოლიძე) მეორედ აიღეს მეტოქის კარი — 2:0. თბილისელებმა თითქოს საბოლოოდ გატეხეს ბათუმელთა წინააღმდეგობა, მაგ-

იხ. მე-4 გვ.



სურათებზე: გამარჯვებული გუნდი — „ვერა"; ტურნირის თასი.

## წარმოგიდგენთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

## თენგიზ ხუდოევი



ბატუტზე მხტომელთა მწვრთნელობაზე თენგიზ ხუდოევს არასოდეს უფიქრია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ აკრობატი იყო, მეორეც მისი სპორტული კარიერის წლებში ბატუტზე ხტომა, როგორც სპორტის სახეობა, საქართველოში საერთოდ არ არსებობდა, მაგრამ... 1969 წელს საქართველოს აკრობატთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა, მიხეილ ქელეხსაშვილმა თენგიზს ურჩია ბატუტზე მხტომელთა მწვრთნელი გამხდარიყო, იქნებ გაგიკვირდეთ, რა ასეთი უფლება ჰქონდა აკრობატების მწვრთნელს (თუნდაც უფროსს) ბატუტისტთა საქმეებში ჩარეულიყო და მწვრთნელი ეძებნა მათთვის. საქმე ის არის, რომ 1965 წლიდან 1970 წლამდე ჩვენს ქვეყანაში ბატუტზე ხტომა აკრობატიკაში შედიოდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში მისი ქულებიც ემატებოდა. იმის გამო, რომ საქართველოში ბატუტისტები არ გვყავდა, ჩვენი გუნდი საკმაოდ ზარალდებოდა. და აი, სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ბაზაზე ბატუტისტთა პირველმა ჯგუფმა დაიწყო ვარჯიში. გავიდა ერთი წელი და ბატუტზე ხტომა აკრობატიკას გამოეყო როგორც სპორტის დამოუკიდებელი სახეობა (მას შემდეგ ბატუტისტთა სხვა ჯგუფებიც შეიქმნა — თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, რუსთავში).

დღეს ძნელია იმის ვარაუდი, რას მიაღწევდა თენგიზ ხუდოევი აკრობატების მწვრთნელად რომ დარჩენილიყო (1963 წლიდან იგი შეჯიბრებებშიც მონაწილეობდა და პარალელურად აკრობატიკის მწვრთნელადაც მუშაობდა), მაგრამ იმაში კი ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენი რესპუბლიკის ბატუტისტების ყველა მნიშვნელოვანი წარმატება სწორედ ამ კაცის დამსახურებაა.

თითქმის ათი წლის მანძილზე თენგიზი მარტო მუშაობდა. დიდი ჯაფა ადგა — ასი თვალი და ასი ყური ჭირდებოდა, რადგან ვარჯიშის დროს მწვრთნელის ყურადღების მოდუნებას შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს. შეგირდებიდან პირველმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა სერგო მარქარიანმა გაახარა — 1978 წელს ევროპის პირველობაზე გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. ორი წლის შემდეგ ევროპის იუნიორების პირველობაზე ინდივიდუალურ ვარჯიშში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა ფატიმა ფირანიშვილმა. ერთი წლით ადრე ფატიმამ ლია აბრამიშვილთან ერთად, საბჭოთა კავშირის იუ-

იხ. მე-3 გვ.

## ექსპრეს-ინფორმაცია

◎ სსრ კავშირის სპორტსახკომმა სამთომოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრება ალმა-ათიდან (უთოვლობის გამო) გუდაურში გადმოიტანა. ეს შეჯიბრება, რომელიც 23-27 დეკემბერს გაიმართება, სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ტარდება.

◎ საქართველოს სპორტსახკომის გადაწყვეტილებით თბილისში მიმდინარეობს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სპორტკომიტეტების თავმჯდომარეთა ერთკვირიანი სტაჟირება. თავმჯდომარეები ეცნობიან სიახლეებსა და მოწინავეთა გამოცდილებას, მსჯელობენ მუშაობის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნისა და ადგილებზე სპორტკომიტეტების როლის ამაღლების საკითხებზე და ა. შ. წლის ბოლომდე სტაჟირებას თავმჯდომარეთა რამდენიმე ჯგუფი გაივლის.

◎ 21 დეკემბერს წითელი წყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას დაარსების 60 წელი უსრულდება. ამ დღეს რაიონში საზეიმოდ გაიხსნება კულტურულ-სპორტული კომპლექსი. ჩატარდება შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში — სოფლის ფალავნები რაიონის ნაკრებს უმასპინძლებენ.

◎ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში პერსპექტიულ ბავშვთა სპორტსკოლისთვის შემოწმება გაიარა 3 ათასამდე მოზარდმა. შერჩეულია 250-250 ბიჭუნა და გოგონა. ახლა ჯერი სპეციალურ მანქანაზე მიდგა. ყველა ინფორმაციას მანქანა დაამუშავებს და პასუხსაც ის გასცემს კითხვაზე, თუ ვინ ჩაირიცხოს სკოლაში.

## პირველი გამარჯვება

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო ჭაბუკ მოკრივეთა V საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ჩვენს დედაქალაქში ჩამოვიდნენ კუბის, ფინეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და პოლონეთის დელეგაციები. მათთან ერთად რინგზე გამოვლენ საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა I, პროფკავშირული და საქართველოს ნაკრები გუნდების წევრები.

ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეებიდან ასპარეზობაში პირველი ნამო ბიტკაში (63,5 კგ) ჩაება. ნამო („ბურევესტნიკი") საქართველოს ორგზის ჩემპიონია მოზარდთა შორის, მას სპორტის ოსტატი სოსო წინამძღვრიშვილი ავარჯიშებს. ბიტკაშის მეტოქე გუშინ სსრ კავშირის ნაკრების წევრი, მოსკოველი სპორტსმენი ალექსანდრე რიბონი იყო. პირველი ორი რაუნდი დაძაბულად წარიმართა, ჭაბუკებმა ფიცხელი ბრძოლა გააჩაღეს, მაგრამ მესამეში თბილისელმა მოკრივემ იმარჯვა, ზედიზედ რამდენიმე ზუსტი შეტევა განახორციელა და გაიმარჯვა. მართლაც კარგი დასაწყისია.

დილის ორთაბრძოლებიდან აღსანიშნავია კუბელი მოკრივეების გამოსვლა. რინგზე თავისუფლების კუნძულის ორი წარმომადგენელი გამოვიდა და ორივემ გაიმარჯვა: ედი სუარესმა (57 კგ) სძლია იგორ ლოსკუტერავის (სსრ კავშირის პროფკავშირთა ნაკრები), იუან ხერნანდესმა (63,5 კგ) — იგორ ბუნინს. დანარჩენი ბრძოლები ასე დამთავრდა: ანდრეი კორნევმა (51) მოუგო ანდრიან მერკუცს, ჰამლეტ ილიასოვმა (57) — ნუგდარ კობეასაროვს, სერგეი არტემიევმა (57, ყველა — სსრ კავშირი)— დიჩო ბაევს (ბულგარეთი).

საღამოს ორთაბრძოლების დაწყების წინ მოეწყო თბილისის საერთაშორისო ტურნირის საზეიმო გახსნის ცერემონიალი.



საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## „ნაკრეში ქართველების გარეშე მერ წარმოიდგენია"

### ორი მატჩი კომენტარებით

ჩვენი ქვეყნის სამ ქალაქში განახლდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. თბილისის „დინამო" მოსკოვის თანაკლუბელებთან, კაუნასის „ჟალგირისთან" და დონეცკის „შახტიორთან" ერთად მოსკოვში ასპარეზობს.

15 დეკემბერი. „დინამოს" სპორტის სასახლე.

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი) 68:66 (35:41).



თბილისი: ტიუბინი (25), პოშნიანი (17), დარსაძე (12), ს. ნაძე (8), კაპუსტინი (6), კობეშავიძე, ტალაბაძე, ფერიაშვილი, გიორგობიანი.

მოსკოვი: კოლიჩევი (15), კორჩაგინი (9), ლინდინი (8), სიზოვი (8); სუხარევი (8), ფესენკო (8), კორნიშინი (4), ჟიგილი (3), ოჩოტნიკოვი (2), გალაშევი (1), ზაშკოვი.

იხ. მე-4 გვ.

### ა. კოტრიკაძე — ლანჩხუთის „გურიის" უფროსი მწვრთნელი

ლანჩხუთის „გურიის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელად დაინიშნა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ალექსანდრე პარმენის ძე კოტრიკაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობა, უწინარეს ყოვლისა

# „ბუნების მოძრავი ტაძარი"

„რა დროს ჩემი ფიზკულტურაა, დავბერდი კაცი!"

„აბა ჩემგან რა სპორტსმენი დადგება"...

ასეთ იმედგადაწურულ განცხადებას არც ისე იშვიათად გაიგონებთ ხანში შესულებისგან, ზოგჯერ ახალგაზრდებისგანაც კი, არადა, ბევრი ფიზკულტურასა და სპორტს ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებს.

ფიზკულტურელი — საკუთარი ჯანმრთელობის განსამტკიცებლად, შრომის უნარიანობის ამაღლებისა და მისი შენარჩუნებისათვის ვარჯიშობს. არ ფიქრობს მეტოქის დაჯაბნაზე, ყველაზე დიდ რეკორდად საკუთარი ჯანმრთელობის გაუმჯობესება მიაჩნია. სპორტსმენი მხოლოდ ერთ სახეობაში ვარჯიშობს. ვარჯიშობს სისტემატურად და საკმაოდ დიდი დატვირთვით. მისი მიზანია აჯობოს მეტოქეს, პირველობა მოიპოვოს, უმაღლესი მიღწევა დაამყაროს და მიღწეულს გადააჭარბოს.

აკადემიკოსმა ა. ი. ბერგმა გამოიანგარიშა, რომ გასული საუკუნის შუა წლებში დედამიწაზე არსებული მთელი ენერგიიდან მხოლოდ 4 პროცენტი მოდიოდა მექანიზაციაზე, „ლომის წილი" კი — 96 პროცენტი — კუნთურ ძალას შეადგენდა.

ჩვენს დროში ადამიანის კუნთური ენერგია მსოფლიო ენერგეტიკული ბალანსის მხოლოდ ერთი პროცენტი თუ იქნება.

ცნობილია, რომ ადამიანი სწორედ მოძრაობის შედეგად განვითარდა ფიზიკურად. პირველყოფილ ადამიანს უშუალოდ ბუნების წიაღში უხდებოდა ცხოვრება და მტაცებელი ცხოველებისაგან (გაქცევით თუ შერკინებით) იცავდა თავს. შეიძლება ითქვას, ეს იყო პირველი სპორტული ვარჯიშები, თუ გნებავთ, სპორტული ასპარეზობანი (ცურვა, რბენა, ხტომა, მშვილდოსნობა, ტყორცნა, სიმძიმეების აწევა და ა. შ.). ერთი სიტყვით, ჩვენი წინაპრები ერთთავად მოძრაობაში იყვნენ — ფიზიკურად იწრთობოდნენ, იხვეწებოდნენ. გათხრების შედეგად ნაპოვნ იმდროინდელ გამოსახულებაზე ვერ შეხვდებით ლიპიანებს და ფიზიკურად განუვითარებლებს. სხვათა შორის, ფიზიკურად მოუმზადებლებს ძველად შეუღლების უფლებაც კი არ ჰქონდათ.

ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე ძველი ბერძნების შეხედულებას გამოთქვამდა, როცა ამბობდა: „არაფერი ისე არ ფიტავს და შლის ადამიანის ორგანიზმს, როგორც ხანგრძლივი ფიზიკური უმოძრაობა".

ბაბილონში, ეგვიპტეში, ჩინეთში, ინდოეთში მონათმფლობელური წყობილების პერიოდში ფართოდ იყენებდნენ სხვადასხვა ფიზიკურ ვარჯიშებს (სირბილი, ცხენოსნობა, ცურვა, აკრობატიკა, ფარიკაობა და ა. შ.). ძველ რომში არსებობდა ფიზიკური აღზრდის სისტემა, რომელსაც სამხედრო დანიშნულებაც ჰქონდა.

ძველ საბერძნეთში გაუნათლებლად თვლიდნენ მათ, ვინც არ იცოდა წერა-კითხვა და ცურვა. ფიზიკური აღზრდა სპარტასა და ათენში კლასიკურად ითვლებოდა. თითოეულ ბავშვს 7 წლის ასაკიდან სხვა საგნებთან ერთად ასწავლიდნენ ტანვარჯიშს, რბენას, ცურვას, ფარიკაობას, ცხენოსნობას. 15 წლიდან კი ამ დისციპლინებს ჭიდაობა და მუშტიკრივი ემატებოდა. ასე ზრდიდნენ ძლიერ, მოქნილსა და კარგი ფიზიკური აგებულების მქონე ადამიანებს. სწორედ ძველი ბერძნები ატარებდნენ ოლიმპიადებს, რაც დიდი კულტურული მოვლენა იყო მათ ცხოვრებაში. ფიზიკური კულტურა, სპორტი საყოველთაო აღიარებით სარგებლობდა.

სამწუხაროდ, დღეს ცივილიზებული საზოგადოება ვერც ჯანმრთელობით დაიტრაბახებს და ვერც ფიზიკურ წრთობაში მოპოვებული მიღწევით. სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა, ადამიანის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებამ, შრომაში ავტომატიზაციის დანერგვამ ადამიანი შებორკა, მისი ფიზიკური დატვირთვა შეამცირა, რასაც სისხლის მიმოქცევის შეფერხება და შემოქმედებითი უნარის დაქვეითება მოჰყვა. უმოძრაობა იწვევს კუნთების მოდუნებას და მის ატროფირებას, ხელს უწყობს უჯრედებში ცხიმის დაგროვებას, ასუსტებს შემაერთებელ აპარატს (სახსრებს), ცვლის ძვლების სტრუქტურას, კერძოდ, მათ ეკარგებათ მდგრადობა. მას, ვინც ნაკლებად მოძრაობს, სუნთქვა უარესდება და ბრონქიალური ასთმა უვითარდება. დაავადებანი იწვევს შრომის ნაყოფიერების და ცხოვრებისეული აქტივობის, ორგანიზმის მდგრადობის შემცირებას.

დანგრეულ პომპეიში ერთ-ერთ კედელზე ნახევრადწაშლილი წარწერაა შემორჩენილი — „შეიცან თავი შენი". წარწერის ზემოთ მოზაიკაა — მწოლიარე სხეული ჩონჩხის გამოკვეთილი ნაწილებით. სხეულის ქვეშ მოჩანს ალმოდებული ენა.

დიდი რუსი მწერალი ანტონ ჩეხოვი ამის თაობაზე ჩვეული ირონიით წერდა: „შეიცან თავი შენი" საუცხოო და სასარგებლო რჩევაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ძველებს არ მოაფიქრდათ მიეთითებინათ როგორ შეიძლება მიაღწიო ამას".



გთავაზობთ ილუსტრაციას არქეოლოგიური გათხრებიდან, რომელზედაც ასახულია ქვის ხანის დროინდელი „ფიზკულტურელები".

დიახ, საკუთარი თავის შეცნობა მეტად ძნელი რამ გახლავთ, ძნელია სულის სიღრმეში ჩაწვდომა. რაც შეეხება სხეულს, მისი შესაძლებლობის განსაზღვრა უნდა გვეადვილებოდეს, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მის გაჯანსაღებაზე და გაძლიერებაზე ვზრუნავდეთ, უმოძრაობას ვეძლევით. ჯერ კიდევ ვერ დავამკვიდრეთ ყოფა-ცხოვრებაში ფიზიკური ვარჯიში. „აქტიური მოძრაობა, მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა", — გვმოძღვრავდა დიდი ილია.

რატომ ვერ ვგრძნობთ ამ აზრის ჭეშმარიტებას, რატომ ვუყურებთ თანამედროვენი ფიზიკურ კულტურას ასე ზერელედ, ზოგჯერ ირონიულადაც?

დღეს ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცებაზე ზრუნვა სახელმწიფოებრივი საქმე გახდა. განუხრელად იზრდება და მტკიცდება მატერიალური ბაზა — მწყობრში დგება ახალი საცურაო აუზები, ჩოგბურთის კორტები, კალათბურთის და ფრენბურთის მოედნები, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კერები, ჯანმრთელობის ზონები და სხვა. მშრომელებს აქ მომსახურეობას უწევენ გამოცდილი სპეციალისტები, კვალიფიციური ექიმები. ჩვენი რესპუბლიკის კლიმატური პირობები პრაქტიკულად მთელი წლის განმავლობაში ვარჯიშის საშუალებას იძლევა. ამიტომ უფლება არა გვაქვს ჩვენი ჯანმრთელობის კერები დაუტვირთავი დავტოვოთ. დროა ვძლიოთ სიზარმაცეს, დროა დავუმეგობრდეთ ბუნებას, სპორტს, ფიზიკურ კულტურას.

ნათქვამია, ადამიანი ბუნების მოძრავი ტაძარიაო და ამ „ტაძარს" თითოეული ჩვენგანისგან, გვერწმუნეთ, მეტი სიყვარული ჰირდება.

**იური გალდავა,**
**სპორტის ოსტატი.**

---

## კომკავშირულ ორთვიურს მიეძღვნა

**ამასწინათ** ქუთაისში მოეწყო „საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მე-17 რესპუბლიკური კომკავშირული ორთვიური" და ამ ორთვიურისადმი მიძღვნილი სპარტაკიადა. ლენინის რაიონის სპორტკომიტეტმა (თავმჯდომარე დ. განუგრავა) კომკავშირის რაიონულ კომიტეტთან და კულტურულ-სპორტულ კომპლექსთან ერთად მოაწყო რაიონული სპარტაკიადა, რომელშიც საწარმო-დაწესებულებათა და სასწავლებლების ახალგაზრდა სპორტსმენები მონაწილეობდნენ. შეჯიბრებები გაიმართა სპორტის ხუთ სახეობაში (კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, შაშში).

კარგად იასპარეზეს მოტობლოკების ქარხნის (დირექტორი ა. ნაცვლიშვილი, ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი მ. ხვისტანი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ლ. კალხაზელიძე) წარმომადგენლებმა. ისინი 550 ქულით პირველ ადგილზე გავიდნენ. 410 ქულით მეორე იყო სამთო-სამშენებლო ტექნიკუმის (რ. სვანიძე, ე. იმედაძე, ა. დავითაშვილი) გუნდი. 350 ქულით მესამე ადგილი ავტომექანიკური ტექნიკუმის (დ. ეზიანიძე, რ. ახვლედიანი, ძოწენიძე) მოსწავლეებმა დაისაკუთრეს.

სპარტაკიადა ახალგაზრდა მუშების, მოსამსახურეებისა და მოსწავლეების ფიზკულტურასა და სპორტში მიზიდვის საუკეთესო საშუალებად იქცა.

**თამაზ კოლხიდელი.**
(„ლელოს" საკ. კორ.)
ქუთაისი.

## ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

**ტყიბული**

**გაიმართა მოსწავლეთა ღია პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში, რომელიც ქვანახშირის წარმოების 140-ე წლისთავს მიეძღვნა, გაიმარჯვა ქუთაისის სპორტსკოლის პირველმა ნაკრებმა. II ადგილზე ტყიბულის პირველი გუნდი გავიდა, III — ქუთაისის პიონერთა სასახლის კოლექტივი.**

**ოთარ კობახიძე.**

**თერჯოლა**

რაიონული ცენტრის საჭადრაკო კლუბში გაიმართა რაიონის პირველობა მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა შორის. ქალთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა ბაბო არველაძემ, II და III ადგილები შესაბამისად ნინო და ლამზირა ბოჭორიშვილებმა დაიკავეს. ვაჟთა შორის ჩემპიონობა მოიპოვა გიორგი ჭანტურიძემ, II იყო შაქრო ჩხიკვაძე, III — ამირან ბოჭორიშვილი.

**„ლელოს" კორ.**

**ჩხოროწყუ**

**აქ გაიმართა რაიონის პირადი პირველობა ჭადრაკში. გაიმარჯვა ოსტატობის კანდიდატმა შაქრო წურწუმიამ, II ადგილზე გავიდა ტარიელ ლემონჯავა, მესამეზე — ილეშ წურწუმია.**

**სოსო ჯალაღონია.**

**გურჯაანი**

ალკკ გურჯაანის რაიკომის ინიციატივით გურჯაანის სპორტულ კომპლექსში მიმდინარეობს რაიონის ახალგაზრდული თამაშები. შეჯიბრების პროგრამაშია სპორტის 10 სახეობა. ასპარეზობა დამთავრდა სამ სახეობაში. მძლეოსნობაში უძლიერესი იყო სოფელ კაჭრეთის კოლმეურნეობის გუნდი, შაშში — გურჯაანის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი, მაგიდის ჩოგბურთში კი ყველას სოფელ კარდენახის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა აჯობა.

**ჯემალ ბიწკინაშვილი.**

---

მსაჯული — მორალი

## ჯარიმა... კარგი მუშაობისათვის?

**მწვრთნელმა შეჯიბრებაზე გუნდი წაიყვანა, წარმატებითაც დაბრუნდა შინ, მაგრამ ხარჯებს, რამაც 849 მანეთი შეადგინა, არ უნაზღაურებენ. წერილში ამ საოცარ ფაქტზე და მის შედეგებზე გვექნება საუბარი.**

**ყველაფერი** აი, საიდან დაიწყო: წლეულს აპრილში, ვილნიუსში თავისუფალი სტილის ჭაბუკ მოჭიდავეთა საკავშირო ტურნირზე ჩვენი რესპუბლიკის გუნდი მიიწვიეს. ამ შეჯიბრებაზე მთლიანად მცხეთელ ყმაწვილებს მისცეს მონაწილეობის უფლება. ბიჭებს თან პირადი მწვრთნელი მურად ჩხაიძე გაჰყვა. გუნდი ისე გაემგზავრა ასპარეზობაზე, რაიონის განათლების განყოფილებაში, როგორც ამას წესი მოითხოვდა, ბრძანება არ დაწერილა. პირველი და მთავარი შეცდომა აქაა დაშვებული. მწვრთნელი აცხადებს: მითხრეს, ჩამოხვალ, საბუთებს შევადგენთ და ხარჯებსაც აგინაზღაურებთო.

სხვა რა გზა იყო, წავიდნენ. მხოლოდ მივლინების ბარათი წაიღეს თან. მცხეთელებმა ამ ტურნირზე შესანიშნავად იასპარეზეს, შინ ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი ჩამოიტანეს, ორი სპორტსმენიც მეოთხე ადგილზე გავიდა. მწვრთნელი და აღსაზრდელები ფიქრობდნენ, რაიონში მადლობას გვეტყვიანო, მაგრამ...

— მორჩა, გული გამიტყდა, იძულებული ვარ, მივატოვო ბიჭები, რწმენის შერყევას თურმე ვერავითარი მატერიალური ზარალი ვერ შეედრება. ყველაზე მეტად ბიუროკრატიზმი, უსულგულობა, ზარის მოდების მიზეზები მიკლავს გულს, — თქვა მწვრთნელმა და მაგიდაზე სქელტანიანი კონვერტი დაგვიდო. აქედან ყველაფერს მიხვდებითო, დასძინა.

მერაბ ჩხაიძემ შვიდი წლის წინათ მოჰკიდა ხელი მცხეთელი ყმაწვილების დაოსტატებას, თავად სპორტსმენი იყო და თუმცა უმაღლესი ფიზკულტურული განათლება არ მიუღია, გრძნობდა, ბავშვებთან მუშაობაც მისი მოწოდება იყო. ჯგუფი აიყვანა. 40 მანეთს იღებდა გასამრჯელოდ, მაგრამ ეს სიმბოლური თანხაც გზაში ეხარჯებოდა — ყოველდღე თბილისში ჩამოჰყავდა ყმაწვილები სავარჯიშოდ.

...ფრთხილად ვხსნით კონვერტს, რომელიც, სხვათა შორის, მხოლოდ მივლინებაში გუნდის ყოფნას და იქ მცხეთელ მოჭიდავეთა მიერ მოპოვებულ ჯილდოებს როდი ადასტურებს.

საოცარია, ენთუზიასტ მწვრთნელს სასტიკი უარი უთხრეს სამივლინებო თანხების მიღებაზე და და ის ხარჯები „ჯარიმად" დააწვა, რატომ, რისთვის? იმისთვის, რომ განათლებამ არ იცის, რა ხდება მის რაიონში? ერთ დანაშაულს (იურიდიულს), რაც ბრძანების გარეშე რესპუბლიკის გარეთ გუნდის გაშვებაში გამოიხატება (ამ შემთხვევაში დარღვეულია განათლების სამინისტროს კატეგორიული მითითებაც), მეორე — მორალური დანაშაულიც დაემატა.

აპრილიდან მოყოლებული დადის მწვრთნელი ინსტანციიდან ინსტანციაში სამართლის აღსადგენად, მეტწილად მხარს უჭერენ, მაგრამ ჯადოსნური წრე განათლების განყოფილებაში იკვრება. გამგე ნანული ოდიშვილი აცხადებს, რომ მწვრთნელი თვითნებურად გაემგზავრა შეჯიბრებაზე. თუ ეს მართლა ასე იყო, რატომ დარჩა საკითხი მკაცრი მსჯელობის გარეშე?

ახლა გავეცნოთ მთავარ დოკუმენტებს: პირველს და უკანასკნელს. პირველი — ესაა განათლების სამინისტროს წერილი, რომელიც გაეგზავნა მცხეთის განათლების განყოფილებას და ნებას რთავს მცხეთის გუნდს და მწვრთნელს გაემგზავრონ ვილნიუსში გამართულ ტურნირზე. თარიღი — 12 აპრილი, 1986 წ. წერილს თან ერთვის შეჯიბრების დებულება, რომელიც მიღებული იყო ვილნიუსიდან; მეორე დოკუმენტია მცხეთის საფინანსო განყოფილების წერილი, რომელიც ისევ რაიონის განათლების განყოფილებას გაეგზავნა. ამ წერილის ბოლო აბზაცში ვკითხულობთ: „როგორც გამონაკლისი, შესაძლებლად მიგვაჩნია მ. ჩხაიძეს აუნაზღაურდეს ვილნიუსში მივლინების ხარჯები". ასეთ გამონაკლისზე ნებართვას უსაფუძვლოდ არ იძლევიან საფინანსო ორგანოები. არადა, ფაქტი ყველაფრით დამტკიცებულია — ახლა ჩვენს წინ დევს ის დოკუმენტები, რომელსაც სხვადასხვა ინსტანციაში ბევრი ხელი შეეხო და ეჭვი არავის შეჰპარვია მის რეალობაში. ჩამოვთვალოთ? ესაა დამოწმებული მივლინების ბარათი მთელ გუნდზე, ესაა თბილისიდან ვილნიუსში თვითმფრინავით მგზავრობის ბილეთები, სასტუმროს ქვითრები, ვილნიუსიდან უკან დასაბრუნებელი ბილეთები, შეჯიბრების მთავარი მსაჯის მიერ ბეჭდით დამოწმებული ასპარეზობის შედეგები, კვების ხარჯების საბუთი — ყველაფერი სწორია, ყველაფერი ეთანხმება შეჯიბრების დღეებს, მაგრამ... ყველა გზა ისევ და ისევ მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების კაბინეტთან მიდის და, აკი ვთქვით, ამ კაბინეტში იკვრება ჯადოსნური წრე.

ვფიქრობთ, მეტი კომენტარი საჭირო აღარ არის. გვერწმუნეთ, რაც დავწერეთ, ყოველ სტრიქონში გულისტკივილი იყო ჩაქსოვილი, გულისტკივილი იმის გამო, რომ განუკითხაობით ჯერ კიდევ ხდება ასეთი დარღვევები, ავიწყდებათ, რომ მოზარდებთან გვაქვს საქმე, რომ კვლავინ ენთუზიაზმს და ამით მხოლოდ ზიანი მოაქვთ ჩვენი სპორტისათვის.

**რედაქციისაგან:** მიმდინარე წლის სექტემბერში ჩვენ ერთხელ უკვე ვწერდით მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, პასუხი კი დღემდე არ მიგვიღია. ძალიან შორს ხომ არ მიდის ამ სოლიდური ორგანიზაციის ხელმძღვანელთა უყურადღებობა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურნირის ექო

# მადლობა აღმზრდელებს

**წლევანდელი სეზონი ალბათ სამუდამოდ დაამახსოვრდება 16 წლის თბილისელ გოგონას ირმა ყიფშიძეს. ეს მომხიბლავი, შავთვალა ქალიშვილი წლეულს საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიიწვიეს. ჯგუფურ ვარჯიშში ევროპის ჩემპიონატზე და მსოფლიოს თასის გათამაშებაში დაკავებული მეორე ადგილისთვის ირმამ ვერცხლის მედალი და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდებაც მიიღო.**

**◎ ირმა, წლეულს ბევრ შეჯიბრებაში მიიღეთ მონაწილეობა. ყველაზე მეტად რომელი ტურნირი დაგამახსოვრდათ?**

— მსოფლიოს თასის გათამაშება. ეს შეჯიბრება იაპონიაში ჩატარდა, სადაც ჩვენი პლანეტის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები შეიკრიბნენ სასპარეზოდ. აქ, ისევე როგორც ცოტა ხნით ადრე იტალიის ქალაქ ფლორენციაში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე, ჯგუფურ ვარჯიშში მეორე ადგილი დავიკავეთ. არ შეიძლება არ გავიხსენო საბჭოთა კავშირის ხალხთა მეცხრე სპარტაკიადაც, სადაც მე ინდივიდუალურ შეჯიბრებაში საქართველოს სპორტულ ღირსებას ვიცავდი, ჯგუფურ ვარჯიშებში კი საბჭოთა ნაკრებისას. ეს საკმაოდ მძიმე ტვირთი იყო ჩემთვის. მახარებს ის, რომ ეს გამოცდა, რომელიც უფრო საკუთარი თავის გამოცდა იყო, კარგად ჩავაბარე.

**◎ მაინც რა სიძნელეები შეგიქმნათ ამგვარმა „გაორებამ"?**

— ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში წლეულს, იანვარში მიმიწვიეს. მოსკოვში ჩემთან ერთად ჩამოვიდნენ ტატიანა ვარატინცევა, ოლღა კურენკოვა, ნატალია ორლოვა, იანიკა მიოლდერი, ლიუდმილა პინჩუკი. ჩვენ ნატალია ცარკოვას ხელმძღვანელობით დავიწყეთ ახალი კომპოზიციის მზადება. პროგრამა აგებული იყო ბურთითა და რგოლით ვარჯიშზე, ასე რომ, ამ ხნის მანძილზე ძირითად ყურადღებას ბურთსა და რგოლს ვუთმობდი, ამიტომ სპარტაკიადისთვის მზადებისას, სადაც მე ყველა საგნით უნდა მევარჯიშა, ჩვეულებრივზე მეტი შრომა დამჭირდა. თუ თავი არ შევირცხვინე, ეს უფრო ჩემი აღმზრდელების დამსახურებაა.

**◎ რაკი მწვრთნელებზე ჩამოვარდა სიტყვა, გვითხარით, ვინ იყვნენ თქვენი მწვრთნელები.**

— ექვსი წლისა ვიყავი, როცა ჩემი ამხანაგის რჩევით მხატვრული ტანვარჯიშის სექციაში ჩავეწერე. ჩემი პირველი მწვრთნელი იყო მანანა კერესელიძე. 1983 წლიდან ნელი სალაძის ხელმძღვანელობით ვვარჯიშობ.

**◎ ახლა ისიც გვითხარით, უახლოეს მომავალში რის გაკეთებას აპირებთ.**

— ჯერჯერობით უმაღლესი დაოსტატების ტანვარჯიშის სპორტულ სკოლაში ვვარჯიშობ თბილისში. აქ კარგი პირობებია მეცადინეობისთვის, არც არის გასაკვირი, ამ სკოლის დირექტორი მზია ჯუღელი ხომ ყოფილი სპორტსმენია. 7 იანვრამდე აქ ვიმეცადინებ, შემდეგ კი გავემგზავრები მოსკოვში, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრებს ნოვოგორსკის სპორტულ ბაზაზე ექნება 1987 წლის პირველი შეკრება. თებერვლის თვეში მონაწილეობას მივიღებ „ოლიმპიური იმედების" ტურნირში, რომელიც კიევში გაიმართება. ჯერჯერობით სულ ესაა, მერე კი ვნახოთ...

ესაუბრა
**ზურაბ ფოცხვერია.**

ტელეტაიპი — მკითხველი

**◎ ალტა ბადია (იტალია).** აქ გაიმართა ვაჟთა გიგანტურ სლალომში მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი. პირველი ადგილი შვეიცარიელმა ჟ. გასპოზმა მოიპოვა — 2.46,84, მომდევნო ადგილებზე იტალიელი რ. პრამოტონი (2.47,71) და გფრ-ის წარმომადგენელი მ. ვასმაიერი (2.47,85) გავიდნენ.

**◎ მალმიო.** შვეციის ამ ქალაქში დამთავრდა ევროპის თასის გათამაშება ცურვაში (25-მეტრიან აუზში). სსრ კავშირის ნაკრებმა 213 ქულა დააგროვა და გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა. გამარჯვება კი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენებს ხვდათ (225 ქულა). საბჭოთა მოცურავეებს ქალთა შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. აქ ყველას გდრ-ის წარმომადგენლებმა აჯობეს.

**◎ რეიმსი (საფრანგეთი).** ჩატარდა ძალოსანთა პირველი გუნდური შეჯიბრება ევროპის თასზე. საპატიო ჯილდო ბულგარელმა ათლეტებმა მოიპოვეს. ამ გუნდის სამმა წევრმა თავის წონაში პირველი ადგილი დაიკავა. სამი გამარჯვებული ჰყავდა საბჭოთა გუნდსაც, რომელსაც საბოლოო ჯამში მეორე ადგილი ერგო.

**◎ მოსკოვი.** უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო მატჩში მოსკოვის „დინამო", უკვე ჩემპიონის რანგში, ალმაათის თანაკლუბელთან დამარცხდა — 13:14. ყაზახეთის გუნდმა ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი დღით ადრე ვერცხლის მედლები მოიპოვა. მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელებმა შეხვედრა დედაქალაქის „მოსკვიჩთან" ფრედ (8:8) დაამთავრეს.

წარმოგიდგენთ კანდიდატებს

# თენგიზ ხუდოევი

დასასრული

ნიორთა პირველობაზე გაიმარჯვა. ყველაზე დიდ წარმატებას ჩვენმა ბატუტისტებმა 1976 წელს საბჭოთა კავშირის პირველობაზე მიაღწიეს — გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს. 1968 წელს საკავშირო პირველობის მეორე პრიზიორები გახდნენ ირმა თანდილაშვილი და ინგა მენთეშაშვილი.

მწვრთნელისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი წლევანდელი სეზონი გამოდგა, აპრილში ორენბურგში ჩატარებულ საკავშირო ახალგაზრდულ პირველობაზე გუნდის ლიდერმა რუსუდან ხოფერიამ მეორე ადგილი დაიკავა. ჩვენი ქვეყნის ხალხთა IX სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრებმა, რომელიც მთლიანად თენგიზ ხუდოევისა და მისი თანაშემწეების ზაურ სულაშვილისა და ევრაპიდ გალჩევის აღზრდილებით იყო დაკომპლექტებული, წარმატებით იასპარეზა. მინსკში 13 წლის რუსუდან ხოფერიამ ჩემპიონის ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. გუნდმა კი, რომელიც ყველაზე ახალგაზრდული იყო სპარტაკიადაზე, მეხუთე ადგილი დაიკავა. მეხუთე ადგილი რესპუბლიკებს შორის, რომელთა უმრავლესობას ბატუტზე მხტომელთა სპეციალიზებული სკოლები აქვთ, დიდი წარმატება იყო.

წინ იყო ევროპის იუნიორთა პირველობა და ბოლოს სეზონის ყველაზე დიდი შეჯიბრება: ბატუტზე მხტომელთა მსოფლიო ჩემპიონატი. თენგიზ ხუდოევს იმედი ჰქონდა, რომ მისი შეგირდი რუსუდან ხოფერია, რომელსაც ევროპის პირველობაზე გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე შეუსრულდა 14 წელი, გამარჯვებული დაბრუნდებოდა პოლონეთიდან. მწვრთნელი არც თუ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რადგან ამ ეტაპზე რუსუდანი ქალთა შორის ყველაზე მაღალ, 12 კოეფიციენტის ვარჯიშებს ასრულებდა. სწორედ ამ ვარჯიშებმა მოუტანა მას წარმატება სპარტაკიადაზე, მაგრამ მწვრთნელის ვარაუდი არ გამართლდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსუდანმა ევროპის პირველობაზე საქართველოს ბატუტისტებიდან პირველმა ყველაზე მეტი ჯილდო მიიღო (გუნდური ჩემპიონობა, სინქრონულ ვარჯიშში ვერცხლის მედალი, ინდივიდუალურში — IV-V), მწვრთნელი და შეგირდი მაინც არ იყვნენ კმაყოფილი. გემახსოვრებათ, ალბათ, ჩვენ ვწერდით, რომ რუსუდანს თავისი ვარჯიშების შესრულების უფლება არ მისცეს ნაკრების მწვრთნელებმა — გამოუცდელი ხარო. ამას ისიც დაემატა, რომ ამავე მიზეზით რუსუდანი არც პარიზში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე წაიყვანეს:

— არ ვიცი, რატომ მოხდა ასე, — გვითხრა თენგიზ ხუდოევმა — მაგრამ დარწმუნებული ვარ რუსუდანს მსოფლიო ჩემპიონატზე შეეძლო წარმატებით ესპარეზა.

— ჩვენი ბატუტისტებიდან კიდევ ვისი იმედი გაქვთ?

— საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატები არიან ანა დოლონაძე, ლია ბენდიანიშვილი და მიხეილ პელივანოვი. მათგან ყველაზე უმცროსი, მეექვსეკლასელი ლია ბენდიანიშვილი უკვე 10 კოეფიციენტის სირთულის ვარჯიშებს ასრულებს.

თენგიზ ხუდოევის შეგირდთა ვარჯიშები ლამაზი სტილით გამოირჩევა, „თბილისური დამღით" გავიდა ასპარეზზე, მისი დამუშავებული გამართული ხლებით შესრულებული ნაადრევად გახსნილი პირუეტები.

„შრომითი რეზერვების" სპორტის სასახლეში დილა-საღამოს ბატუტზე დაფრინავენ გოგო-ბიჭები. მწვრთნელებს სხვადასხვა წერტილი აურჩევიათ სათვალთვალოდ და იქიდან ადევნებენ თვალყურს. დარწმუნებული ვართ, მათგან რამდენიმეს უფრო მაღლა ფრენა შეუძლია.

**ჯემალ კახრაძე.**

I ლიგა

სტატისტიკა, სტატისტიკა...

**გთავაზობთ I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების სტატისტიკურ მონაცემებს:**

● **ლიგაში** ჩატარებული 552 მატჩიდან 420 დამთავრდა ერთი რომელიმე გუნდის გამარჯვებით, ხოლო 132 — ფრედ.

● **ფრეთა** ლიმიტი ამოწურა 8 გუნდმა, ამის გამო ქულები არ დაერიცხათ „დაუგავას" (2), „პამირს", „კუზბასს", „შინიკს", სტავროპოლის „დინამოს" (3), „კოტაიკს", „ყუბანს" (2) და „ისკრას".

● **მასპინძლებმა** მოიგეს 322 მატჩი, სტუმრებმა—98, 132 შეხვედრა დამთავრდა ფრედ.

● **ჩემპიონატში** გატანილია 1.375 ბურთი, სტუმართა კარში — 944, მასპინძელთა კარში—431.

● **გათამაშების** მსვლელობაში დაინიშნა 161 პენალტი, 121—სტუმართა და 40—მასპინძელთა კარში. აქედან გატანილი იქნა 130 პენალტი.

● **I ლიგის** შეჯიბრებას სულ დაესწრო 3.142.600 მაყურებელი. ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავდა რიგის „დაუგავას" — 385.250, ყველაზე ნაკლები — ხაბაროვსკის არმიელთა გუნდს — 168.780.

● **მეტოქეთა** მინდვრებზე ყველაზე მეტი გამარჯვება მოიპოვა ცსკა-მ — 13. სტუმრად არც ერთი გამარჯვება არა აქვთ ხაბაროვსკის არმიელებს, კლაიპედის „ატლანტასს" და კიშინიოვის „ნისტრუს". საკუთარ მინდორზე ყველაზე მეტი გამარჯვება მოიპოვა ლანჩხუთის „გურიამ" — 21.

● **მეტოქეთა** მინდვრებზე ყველაზე მეტი ქულა დააგროვა ცსკა-მ — 30, ყველაზე ნაკლები „ნისტრუმ" — 1, ხოლო შინ ჩატარებულ მატჩებში ყველაზე მეტი ქულა დააგროვა ლანჩხუთის „გურიამ" — 42. კიშინიოვის „ნისტრუმ" საკუთარ მინდორზე ყველაზე ნაკლები ქულა მოიპოვა — 20.

● **ყველაზე** სტაბილური შედეგიანობით გამოირჩეოდა დონის როსტოვის „როსტსელმაში", რომელმაც მხოლოდ 8 მატჩში ვერ შეძლო ბურთის გატანა. ყველაზე სტაბილური დაცვა ჰყავდა ცსკა-ს, რომელსაც 24 თამაშში არ გაუშვია გოლი. ყველაზე არასტაბილური იყო „ატლანტასის" დაცვა, რომელმაც მხოლოდ 6 თამაშში არ გაუშვა ბურთი.

**რევაზ კოპაძე.**

## საქართველოს სუპერთასზე

**20 დეკემბერს** თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე შედგება მეტად საინტერესო მატჩი ფეხბურთში საქართველოს სუპერთასზე. ერთმანეთს შეხვდებიან რესპუბლიკის ჩემპიონი თბილისის „შევარდენი"-სპი და თასის მფლობელი ბოლნისის „მადნეული".

მატჩი დაიწყება 14 საათზე.



**დეკემბრის** პირველ ნახევარში ქ. ბათუმში მოეწყო სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა 1969-70 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. დარასელიას სახელობის პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ზუგდიდისა და გაგრის გუნდები.

თბილისის დინამოელებმა კარგად ჩაატარეს შეჯიბრება, გაიმარჯვეს ზუგდიდის, ქუთაისისა და ბათუმის გუნდებთან, ფრედ ითამაშეს სოხუმელებთან და გაგრელებთან, პირველი ადგილი დაიკავეს და საპატიო პრიზსაც დაეუფლნენ. გუნდს წვრთნიდნენ ბ. სიჭინავა და რ. გაგუა.

**ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრებაში გამარჯვებული თბილისის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი (მარცხნიდან); ქვემო რიგში — ზ. ბენდელიანი, მ. კომახიძე, რ. მოწონელიძე, მ. კალატოზიშვილი, მ. კევლიშვილი, თ. ბარამიძე, ს. დემეტრაშვილი; ზემო რიგში — რ. გაგუა, გ. ქოჩიაშვილი, გ. ნიკოლაიშვილი, დ. ყიზილაშვილი, კ. ნადარეიშვილი, კ. მახარაძე, გ. ლოლუა, ი. ალბოროვი, რ. ხუციშვილი, გ. მაქაცარაშვილი, ბ. სიჭინავა.**

**პელე ვარჯიშობს**

ბრაზილიის ნაკრების წევრები, რომელთაც იანვარში ვეტერანთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატში უნდა მიიღონ მონაწილეობა, ახლა ინტენსიურად ვარჯიშობენ. შეჯიბრებისთვის ემზადებიან 46 წლის პელე, ჟაირზინიო, კლოდოალდო, პაულო სეზარი და სხვები.

**ლიდერობს პოლსტერი**

„ფრანს ფუტბოლის" ჯილდო „ოქროს ბუცისათვის" გამართულ ტრადიციულ შეჯიბრებაში ამჟამად ლიდერობს ვენის „აუსტრიის" თავდამსხმელი პოლსტერი. მას უკვე 26 ბურთი აქვს გატანილი. ბოროდიუკმა (მოსკოვის „დინამო") 21 ბურთით უკვე დაამთავრა შეჯიბრება და ასეთი მაჩვენებელი, ეტყობა, რაიმე ჯილდოს მოპოვების საშუალებას არ იძლევა.

18-18 ბურთი აქვთ გატანილი „ოქროს ბუცის" ახლანდელ მფლობელ ვან ბასტენსა (ამსტერდამის „აიაქსი") და ალექსანდროვს (სოფიის „სლავია"), 17 — სირაკოვს (სოფიის „ვიტოშა"), 16 — ალენს (ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური"), ერიკსენს (ჟენევის „სერვეტი"), ტანევს (სოფიის „სრედეცი") და კამატარუს (ბუქარესტის „დინამო").

**თასი — „ნაციონალს"**

დამთავრდა აფრიკის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება. ორ ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ კაიროს „ნაციონალ სპორტინგ კლაბი" და „აკ სოგარა" (გაბონი). პირველი მატჩი სტუმრად ეგვიპტელებმა წააგეს (0:2), მაგრამ მეორეში გაიმარჯვეს (3:0) და თასი დაისაკუთრეს.



მკითხველი — გაზეთი

**ძვირფასო რედაქცია! წელს თბილისის შემოგარენში ნაადრევად ჩამოთოვა და ეტყობა მალე თბილისშიც დადგება ნამდვილი ზამთარი. არის თუ არა შესაძლებლობა, რომ მომხმარებელმა დროის დაუკარგავად, ერთ მაღაზიაში შეიძინოს სხვადასხვა სათხილამურო და საციგაო ინვენტარი?**

**პაატა ბასილაძე.**
თბილისი.

**პასუხი:** რა თქმა უნდა, არის და ამის თაობაზე ჩვენ ვაუწყეთ კიდეც მკითხველს (იხ. „ლელო" 2 დეკემბერი, 1986). ასეთი მაღაზიაა „სპარტაკი", რომელიც მდებარეობს ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე. იქ საგანგებო კუთხე გამოყვეს, სადაც ფართოდაა წარმოდგენილი სამამულო და იმპორტული ნაწარმი (თხილამურები, სამაგრები, სპეციალური ფეხსაცმელი, სათვალეები, სათხილამურო ჯოხები, ციგები, ქურთუკები და ა. შ.).



საბჭოთა კავშირის
ჩემპიონატი კალათბურთში

# „ნაკრები ქართველების გარეშე ვერ წარმომიდგენია“

(დასასრული)

მსაჯები: ვ. მუხინი და ტ. ჰასანოვი (ორივე — ბაქო).

**სპეციალისტთა კომენტარები. ლევან ჩხიკვაძე** (საქართველოს სპორტსახკომის სამმართველოს უფროსი): მოსკოვის „დინამოს“ თითქოს ჩვენზე ძლიერი მოთამაშეები ჰყავს, მაგრამ თბილისელებმა მეტოქეს ამჯერად თავდასხმისა და დაცვის სწორი ორგანიზაციით, სათამაშო დისციპლინით აჯობეს. თბილისელთა ტაქტიკა პირველი შეტევის ჩამლის შემთხვევაში ბურთის ნელ და ზუსტ გათამაშებაში გამოიხატებოდა. მოსკოველებმა ტრადიციულად, პერსონალური მეურვეობა აირჩიეს, რისთვისაც ბოლომდე არ უღალატნიათ. მთელს მოედანზე გაშლილ მეტოქეს დაცვაში ბევრი სუსტი ადგილი აღმოაჩნდა და სწორედ ეს გარემოება გახდა მათი დამარცხების მიზეზი.

დერიუგინის ნაცვლად ცენტრალურ თავდამსხმელად ტიუზინმა ითამაშა და შესანიშნავადაც გაართვა თავი საქმეს. განსაკუთრებით კარგად ეთამაშებოდა იგი ოპოშნიანს. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ ყველაზე ბევრი ქულა კოლექტივს სწორედ ამ ორმა კალათბურთელმა შესძინა.

**ალექსანდრე გომელსკი** (სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრების ახლადდანიშნული უფროსი მწვრთნელი): ამ მატჩში, ჩემის აზრით, მოსკოველთა მწვრთნელმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა: უმიზეზოდ დასვა სათადარიგოთა სკამზე კორნიშინი და იგი ლინდინით შეცვალა, რომელსაც მოედანზე არაფერი გაუკეთებია.

**16 დეკემბერი. „დინამოს“ სპორტის სასახლე.**

**„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 54:79 (26:35).**

**„დინამო“: ბოროდაჩოვი (12), ტიუზინი (9), კაპუსტინი (8), სანაძე (8), გიორგობიანი (7), ტალაბაძე (6), ფერიაშვილი (2), ოპოშნიანი (2), კობეშავიძე, დარსაძე.**

**„ჟალგირისი“: კურტინაიტისი (23), საბონისი (14), ხომიჩუსი (14), ჩივილისი (12), ვისოცკასი (6), კრაპიკასი (6), ვენცლოვასი (2), იოვაიშა (2), ბრაზისი, ლეკარაუსკასი.**

**მსაჯები: ტ. ჰასანოვი (ბაქო), მ. ბერნარდსი (ლიეპაია).**

**სპეციალისტთა კომენტარები. ლევან ჩხიკვაძე:** თამაშის ბედი გადაწყვიტა იმან, რომ ფარს პირველსავე წუთებიდან კაუნასელი კალათბურთელები დაეუფლნენ, რამაც მათ სწრაფი იერიშების განხორციელების საშუალება მისცა. თბილისელები ამაოდ ცდილობდნენ მათ მიერ აღებული ტემპის დაგდებას და მალე შეეგუენ კიდეც ბედს; მით უფრო, რომ მეორე დღეს მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრა ჰქონდათ დონეცკის „შახტიორთან“. მაგრამ არ იფიქროთ, რომ დინამოელებმა უბრძოლველად დათმეს თამაში. პირიქით, პირველ ტაიმში მათ მეტოქეს ბევრი სირთულე შეუქმნეს და წარმატების შანსი რომ გაჩენოდათ, ტაქტიკას ალბათ არც შეცვლიდნენ. მაგრამ მეორე ტაიმში „ჟალგირისის“ უპირატესობა საბოლოოდ გამოიკვეთა და მწვრთნელებმა სათამაშოდ სათადარიგო შემადგენლობა გამოუშვეს.

**ალექსანდრე გომელსკი:** კაუნასელთა უპირატესობა ამ შეხვედრაში აშკარა იყო და ბრძოლაც მათი გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ მე სხვა რამ მინდა გითხრათ. როგორც ნაკრების მწვრთნელი, ყურადღებით ვაკვირდები ყველა კალათბურთელს. გამოგიტყდებით და მომწონს დარსაძისა და სანაძის თამაში. უახლოეს მომავალში მათ საგანგებოდ „გავსინჯავ“. გეტყვით იმასაც, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრები ქართველი კალათბურთელების გარეშე ვერ წარმომიდგენია.

**გუშინ თბილისის „დინამომ“ ანგარიშით 71:68 დაამარცხა დონეცკის „შახტიორი“.**

**დავით კაკაბაძე,**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

# დებიუტანტის სტაბილურობა

15 და 16 ნოემბერს მოსკოვში, კიევსა და ვილნიუსში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის სხვა მატჩებიც.

**მოსკოვი.** დონეცკის „შახტიორის“ ბოლო წარმატებები მოულოდნელი აღარ გახლავთ. უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა 54-ე ჩემპიონატში რამდენიმე ლამაზი გამარჯვება უკვე მოიპოვა და თავისი სიძლიერე ერთხელ კიდევ დაამტკიცა. ამ სიტყვების ნათელსაყოფად ბოლო ორი მატჩის გახსენებაც კმარა. მოსკოვის ტურის სასტარტო შეხვედრაში დონეცკელმა კალათბურთელებმა თვით კაუნასის „ჟალგირისი“ დაამარცხეს — 81:78 (36:43), მეორე დღეს კი ფარხმალი მოსკოვის დინამოელებს დააყრევინეს — 76:69 (37:42). საყურადღებოა ერთი გარემოება: ორთავე შეხვედრის პირველ ტაიმს დონეცკელები აგებდნენ, მაგრამ შემდგომში პოულობდნენ ძალას, რომ ბრძოლის ბედი თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტათ. ეს ახალგაზრდული კოლექტივის ოსტატობის სტაბილურობაზე მეტყველებს.

**კიევი.** ამ ჯგუფში განსაკუთრებულ ყურადღებას მოსკოვის არმიელთა თამაში იპყრობს. საბჭოთა კავშირის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი წლევანდელ გათამაშებას დამაჯერებლად ლიდერობს და როგორც ჩანს ამ უპირატესობას ძნელად დათმობს. მოსკოვის არმიელები განსაკუთრებით სტაბილურად თამაშობენ თავდასხმაში, რაც ანგარიშებიდანაც ჩანს. ცსკა-მ ალმა-ათის არმიელებს 99:76 (54:35) აჯობა, კიევის არმიელები კი კიდევ უფრო დიდი სხვაობით დაამარცხა — 104:74 (53:44).

ლენინგრადის „სპარტაკმა“ ამ ტურში ერთი შეხვედრა კიევის არმიელებთან მინიმალური სხვაობით წააგო — 75:76 (37:40), მეორე მატჩში კი ალმა-ათის ასკ-ს აჯობა — 85:74 (37:46).

**ვილნიუსი.** „სტატიბა“ შინ იშვიათად აგებს შეხვედრას, განსაკუთრებით, როცა ბრძოლის გადამწყვეტი ფაზა დგება. არადა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებს ამჯერად კონკრეტული ამოცანა აქვთ გადასაწყვეტი. დასამალი რაა, თითქმის ყველა კოლექტივი (მათ შორის აუტსაიდერებიც) ფინალისტთა ექვსეულში მოხვედრას ლამობს.

„სტატიბამ“ ამ მხრივ საგრძნობლად გამოაკეთა საქმე — მოიგო ორი შეხვედრა: რიგის ვეფ-თან ანგარიშით — 100:85 (45:48), მინსკის რტისთან — 89:85 (45:42).

შესამჩნევად უჭირს კიევის „სტროიტელს“, თუმცა ამ ტურის ორივე მატჩი თავის სასარგებლოდ დაამთავრა. რტის-თან უკრაინელებმა მხოლოდ ერთი ქულით გაიმარჯვეს — 72:71 (40:32), ვეფ-თან კი — ხუთი ქულით — 110:105 (49:51).

# მომავალ შეხვედრამდე...

დასასრული

რამ ეს მოჩვენებითი გამოდგა. აჭარის წარმომადგენლები საგრძნობლად გააქტიურდნენ და უპირატესობაც ხელთ იგდეს. ფინალური მატჩის ძირითადი დროის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე გია ცანავამ შეამცირა სხვაობა ანგარიშში — 1:2. ბათუმელებს ამის შემდეგაც არ დაუკლიათ ცდა, მაგრამ მეტს ვერაფერს მიაღწიეს. საბოლოოდ გამარჯვება ვერის გუნდმა ანგარიშით 2:1 და საქართველოს პირველი ჩემპიონის საპატიო სახელიც დაიმსახურა.

მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ვაკელებმა დაამარცხეს სოხუმის „დიოსკურია“ — 5:0. ამ მატჩის გმირია ვაკელთა თავდამსხმელი ირაკლი ქავთარაძე, რომელმაც ჯერ კიდევ საქალაქო ტურნირში ლამაზი და შედეგიანი თამაშით დაგვამახსოვრა თავი. იგი ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა: სოხუმელთა კარში ხუთივე გოლი მან გაიტანა! ირაკლი ქავთარაძემ ამ ტურნირში სულ 11 გოლი გაიტანა და კვლავ დაისაკუთრა საუკეთესო ბომბარდირისთვის დაწესებული პრიზი. მასვე გადაეცა საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი ჯილდოც.

ტურნირის საუკეთესო მეკარედ აღიარეს ვერელთა კარის დარაჯი გია [illegible]არიძე, საუკეთესო მცველად კი — ბათუმელი გია [illegible]. დამთავრდა კიდევ ერთი საინტერესო ტურნირი მინიფეხბურთში, მაგრამ ჩვენ კიდევ ბევრი ლამაზი სანახაობა გველის: 1987 წლის დასაწყისში საკავშირო შეჯიბრების მოწყობას ვარაუდობენ.

**სურათებზე: ტურნირის ბომბარდირსა და საუკეთესო ფეხბურთელს ირაკლი ქავთარაძეს სპეციალურ ჯილდოს გადასცემს სპორტის დამსახურებული ოსტატი ხლავა მეტრეველი; მატჩის მომენტი.**





# დიდი სპორტის ბალავერი

**ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მოსწავლეებმა, მათ ვინც წელს პირველად მიუსხდნენ მერხებს, უკვე ბევრ საინტერესო სპორტულ შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა.**

**ქალაქის** განათლების განყოფილებისა და საქალაქო სპორტკომიტეტის ერთობლივი ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა კარგ ტრადიციას — სისტემატურად ეწყობა სკოლამდელი დაწესებულებებისა და დაწყებითი კლასების აღსაზრდელთა შეჯიბრებები დევიზით: „მხიარული სტარტები“.

ბავშვთა შორის გაშლილმა სპორტულმა მუშაობამ ორი ძირითადი ამოცანა უნდა გადაწყვიტოს — ფიზიკურად გამოაწრთოს მოზარდი, მიაჩვიოს იგი ჯანმრთელი ცხოვრების წესს და რჩეულთა შორის რჩეულებს დიდი სპორტისაკენ დაულოცოს გზა. სკოლამდელი და დაწყებითი კლასების მოსწავლეთა შორის სწორედ ამ მიზნით ეწყობა შეჯიბრებები. ამ დღეებში ქუთაისის სპორტკომიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის დარბაზში ჩატარდა საქალაქო პირველობა საშუალო სკოლების პირველკლასელთა შორის, ჯერ სასკოლო პირველობა მოეწყო, შემდეგ სარაიონო და საქალაქო. საქალაქო პირველობაზე, რომელშიც რაიონულ პირველობებზე გამარჯვებული გუნდები მონაწილეობდნენ, საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა ლენინის რაიონის მე-4 საშუალო სკოლის (დირექტორი ც. კეზევაძე) გუნდმა. მეორე ადგილზე გავიდა 27-ე სკოლის (დირექტორი ც. ნანიკაშვილი) გუნდი. მესამე ადგილი მე-11 საშუალო სკოლის (დირექტორი ი. ფხაკაძე) ნორჩებმა დაისაკუთრეს.

აღსანიშნავია, რომ პატარებმა, კარგი ფიზიკური მომზადება გამოავლინეს.

ამ დღეებში სასპარეზოდ შეიკრიბებიან მეორე, მესამე და მეოთხე კლასის მოსწავლეები, რომელთა ფინალურ შეჯიბრებებს საგანგებოდ მოწვეული მწვრთნელები დაესწრებიან, რომლებიც საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს ამოირჩევენ სპორტულ სექციებში ჩასარიცხად.

ასე იწყება გზა დიდი სპორტისაკენ.

**თამაზ კოლხიდელი.**
**„ლელოს“ საკ. კორ.**
ქუთაისი.

## კალეიდოსკოპი

### ფატალური უიღბლობა

აფრიკის სპორტული თამაშებისთვის სამზადისი ჩიხში მოექცა. მხარეები ვერაფრით ვერ შეთანხმდნენ თამბაქოსა და ალკოჰოლის რეკლამის საკითხში. აფრიკის ქვეყნების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელების აზრით, ადვილი შესაძლებელია კონფლიქტი ვერ გადაწყდეს და თამაშები სულაც აღარ ჩატარდეს.

როგორც ჟურნალისტები ამბობენ, ამ საინტერესო სპორტულ ღონისძიებას ფატალურად არ სწყალობს ბედი. 1978 წლის შემდეგ ვერაფრით ვერ მოხერხდა მისი აღორძინება. არადა, აფრიკის თამაშებზე ბევრი მსოფლიო რეკორდი შეიძლება დაემხოს.

### საიუბილეო რბოლა

1987 წელს მშვიდობის ველორბოლა არსებობის 40 წლისთავს იზეიმებს. საიუბილეო შეჯიბრებას სტარტი 9 მაისს ბერლინში მიეცემა, ფინიში კი 23 მაისს ვარშავაში შედგება. მომავალი წლის მშვიდობის ველორბოლა 14 ეტაპად დაიყოფა. ყველაზე გრძელ ეტაპზე (მაგდებურგი — გერა, 186 კილომეტრი) ველოსიპედისტები 11 მაისს იასპარეზებენ. ყველაზე მოკლე ეტაპია პირველი, რომელიც 8 მაისის პროლოგს მოჰყვება. ბერლინის ქუჩებში მოწყობილი კრიტერიუმის ტრასა 100 კილომეტრზე ოდნავ გრძელი იქნება.

### ახალი, უნივერსალური სისტემა

იტალიის სახელმწიფო ტელეკომპანია რაი ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატისთვის ამზადებს სპეციალურ სისტემას, რომელსაც „გეიმ სტატი“ ეწოდება. ამ სისტემის დახმარებით ტელემაყურებელს დაუყოვნებლივ შეუძლია თამაშის ნებისმიერი მომენტის გამეორებით ნახვა. გარდა ამისა, ახალი სისტემა მაყურებელს მიაწვდის სტატისტიკურ ცნობებს, გადმოსცემს სპეციალისტთა პროგნოზებს და ტურნირთან დაკავშირებულ სხვა დეტალებს.

„გეიმ სტატის“ შეძენას ბევრ ქვეყანაში აპირებენ. სპეციალისტთა აზრით იგი მწვრთნელებსაც დიდ დახმარებას გაუწევს.

### განახლებული ნაკრები

აშშ-ის სამთომოთხილამურეები ახალ სეზონს დაიმედებულები ელიან. ეს რწმენა მათ ბოლო ორი მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებმა განუმტკიცა.

ქვეყნის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელის ჰარალდ შენჰაარის განცხადებით, ნაკრებს დიდი ძალა შეემატა — დაიენ როფი, რომელმაც შარშანდელი სეზონი ტრავმის გამო გამოტოვა. მასთან ერთად უმთავრეს შეჯიბრებებში ნაკრების ღირსებას დაიცავენ: მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები დაგ ლუისი (სწრაფდაშვება), ევა ტვარდოკენსი (გიგანტური სლალომი); თამარ მაკკინი, ბილ ჯონსონი (სწრაფდაშვება), დები არმსტრონგი (გიგანტური სლალომი). ასეთი შემადგენლობით აშშ-ის ეროვნულ გუნდს შეუძლია ნებისმიერ მეტოქეს გაუმკლავდეს.

კალეიდოსკოპი

## ლიდერობს გარი კასპაროვი

**ბრიუსელში** (ბელგია) მიმდინარეობს 6 დიდოსტატის ორწრიანი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

მონაწილეებმა დაამთავრეს პირველი წრის შეხვედრები. 5 ტურის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონს გ. კასპაროვს 3,5 ქულა აქვს, ნ. შორტს (ინგლისი) — 3, ლ. პორტიშს (უნგრეთი), ვ. კორჩნოის (შვეიცარია) — 2,5-2,5, ჯ. ნანს (ინგლისი) — 2, რ. ჰიუბნერს (გფრ) — 1,5.

გარი კასპაროვმა მოუგო ჰიუბნერს, პორტიშს, ნანს, ყაიმით დაამთავრა შეხვედრა კორჩნოისთან და წააგო შორტთან.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 18 დეკემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; საერთაშორისო ტურნირი ჰოკეიში გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე: ფინეთი — ჩეხოსლოვაკია — **20.20 (2).**

**19 დეკემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; საერთაშორისო ტურნირი ჰოკეიში გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე: ჩეხოსლოვაკია — კანადა — **15.30 (1)**; სსრ კავშირი — შვეცია — **19.30 (1).**

**საქართველოს ტელევიზია. 18 დეკემბერი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში, უმაღლესი ლიგა: „შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (თბილისი) 17 დეკემბრის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი — **23.00.**

**19 დეკემბერი.** სპორტული გადაცემა: „მექსიკა-86“ (განმეორებით) — **22.45.**

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. ბაჩეჩილაძე.**

ინდექსი: 66438. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 იბეჭდება ოფსეტური წესით ხელმოწერით, ხოშარაულის ქ., 29. უე 07763